№ 165
აგვისტოს 4, კვირა, 1902 წ.
1877

ივერია

№ 165
აგვისტოს 4, კვირა, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

თ. რევაზ და იასონ იასონის ძენი ერისთავები და კნ. მარიამ გიორგის ასული ერისთავისა და ნინო იორამის ასული რედკინისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 2 აგვისტოს ნაშუადღევის ორ საათზე ს. დოესში (სად. გრაკლიდგან 2 ვერსზე) პირველნი ორნი დედისა, მესამე—დედამთილისა და უკანასკნელნი—დისწულისა

კნ. ნინო ალექსანდრეს ასულის ერისთავისა

(თავ. ციციშვილის ასულისა)

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე, გამოსვენება მიცვალებულისა დანიშნულია ორშაბათს, 5 აგვისტოს, დილის $9\frac{1}{2}$ საათზე სოფ. დოესის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში, სადაც დაკრძალულ იქნება. (1—396—1)

თავადი ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 5 აგვისტოს, მეორმოცე დღეს მისის ძმის

თავადის არჩილ გულბაათის-ძის ჭავჭავაძის

გარდაცვალებისას, გარდახდილ იქმნება პანაშვიდი დილის $11\frac{1}{2}$ საათზედ სოფელ კასპში. (1—395—1)

მოსკოვი 1893
ს.-პეტერბურგი 1870
ნ.-ნოვგოროდი 1897

სავაჭრო სახლი
დონნერისა და ლეიტცისა
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.
ჟირარდის მანუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.
საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად
ტილოსი, ბამბისა და წინდა-ჩულქის საქონელი.
ავეჯის გადასაკვრელი მატერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები
საბნები მატყლისა და აბრეშუმისა.
საცვლები ქალისა და კაცისა
მზითევი.
მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებით პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix ისა.

საწყობი ქაღალდის
მოსკოვი 1882 წ.
დიტიატკოვსკის ამხანაგობის
ნოვგოროდი 1896 წ.
საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში
ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.
მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად**.
ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—6.—7)

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა
(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—12)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10-მდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე- და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ტფილისი, 4 აგვისტოს.

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო სამწუხარო ამბავი მომრიგებელ შუა-კაცის—თავად ვეზირიშვილის უცნაურ-მოკვლისა.

თუმცა დღევანდლამდე ბოროტ-მომქმედი არ აღმოჩენილა, მაგრამ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ თავად ვეზირიშვილის მოკვლის მიზეზი ხიზნების გადასახლებაა.

დიდი ხანია, რაც ჩვენი გლეხობა დამშვიდდა; დიდი ხანია, რაც ჩვენმა გლე-

---

ფელეტონი

სიჭაბუკე.

— ვინც რა უნდა სთქვას, და მე-კი ამას ვიტყვი: ქალი ბუნებისაგან იმისთვის არის მოწოდებული, რომ თვისის მშვენებით მამაკაცი დაატკბოს... სხვა მისი, ვითომ წმიდა, დანიშნულება—ადამიანის მოგონილია—სთქვა ერთმა.

— აი, სწორედ ამიტომაც, არ მოიძებნება ისეთი დედაკაცი, რომლის მოხიბლვა შეუძლებელი იყოს, თუ, რასაკვირველია, გარემოება ხელს გიწყობს—დაუმატა მეორემ.

— ნამეტნავად ადვილი საიერიშო ქმრიანი ქალია—დასძინა მესამემ.

— აბა, რა ეხარჯება!?.—გაიხუმრა მეოთხემ—მე ვიცი მამის ძებნა მოუნდება, რომ თავისს ცოდვის შვილს სახელი მოუპოვოს... ბრალი ქმრისა, რადგანაც შუბლზედ უნდა ატაროს ნიშანი შეურაცხყოფისა და ზურგზედ-კი—სხვისი სიტკბოების ნაყოფი, მის ხარჯზედ მოწყვეტილი...

— აი, სწორედ, მაგ მიზეზის გამო, მე ყოველთვის ქმრიან ქალებს ვეტრფი!—სთქვა კვლავ პირველმა.—გასათხოვარისა და ქვრივისა ძალიან მეშინიან... ვინ არის თავმდები, რომ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც სიყვარულით უკვე მოყირჭებული ხარ და თვალებს სხვა მხრით აცეცებ, გინდა არსება ახალ ვნებათა-თარეშს მისცე,—შენი „ატსტავკა“ ქმნილი სატრფო მოულოდნელად არ გამოგიცხადებს: „ორსულადა ვარ და ჯვარი უნდა დაიწერო“-ო.

— არა,—ქმრიანი სულ სხვაა—განაგრძო მანვე ცოტა სიჩუმის შემდეგ—იგი, მართალია, რწმუნებას დაგიწყებს—შენგანა ვარ ორსულიო, მაგრამ თავის მართლება თამამად შეგიძლიან: „ვინ იცის, ჩემო მშვენიერო, იქნება შენი ქმარია „ავტორი“ და არა მე...

— ქალი, რაღა თქმა უნდა, ჯვარსა და სახარებას ჩამოიღებს, ზევით ცას და ქვევით დედამიწას მოიწვევს იმის მოწმეთ, რომ რაც შენთან კავშირი დაიჭირა,—ქმარი ახლოს არ მიუკარებია... შენ-კი სრული უფლება გაქვს არ დაუჯერო... არა, რომელ ქალს დაეჯერება ფიცი და ისიც სიყვარულის საქმეში?!

და ამ სიტყვების მთქმელის სახე უშველებელ კითხვითი-ნიშანს დაემსგავსა.

— ოღონდაც!—დაუკრა კვერი მეორემ.

— მაგრამ ქმრისას რაღას იტყვი? ერთიც ვნახოთ, შეურაცხყოფილი თანამეცხედრე შენის სატრფოსი ზორბა ტანისაა და ძვალმსხვილი... რა პასუხს გასცემ იმის მუშტებს?—დაეკითხა პირველს მესამე.

— ეჰ, ნეკზედ არ მიკბინო! ისე ლაპარაკობ, თითქოს ქმრიანი ქალი რაღაც წმინდა არსებად მიგაჩნდეს და შენს სიცოცხლეში არც ერთი მათგანი არ გაგებას ალერსთა მახეში!.. ცოლქმრობის კავშირი, ჩემო კარგო, ის გაუგებრობის და თვალ-აბლესილობის უღელია, რომელშიაც მხოლოდ ქმარი აბია... აპეურიკი ხელში ცოლს უჭირავს, როცა უნდა მაშინ გამოხსნის ამ დაუღლებულ რქიან ცხოველს... და რომელი თავზედ ხელ-აღებული ცოლი იქნება, რომ ამ უღლიდგან ქმარი გაანთავისუფლოს?!. ასე არ არის ბიძა-ჩემო?!.—მიმართა მხიარულის ღიმილით პირველმა ქალარა შერთულ და დარბაისელ შუახნის კაცსა, რომელიც გაჩუმებული ყურს უგდებდა ახალგაზრდების საუბარს.

სადილი მიწურულში იყო, ღვინო=თავში ასული და მეინახეთა გრძნობა-ოცნება—ამხედრებული, მაშ რაღაზედ უნდა ელაპარაკნა ამ მამა-კაცთა პაწია კრებულს, თუ არა ქალის შესახებ, რადგანაც ღვინისაგან შეთბუნებული სისხლი ნაპერწკლობდა და ვნებათა-აშლილობა ტანში ჟრუანტელ აღმძვრელ სურათებს უყენებდა წინ მათ გაბრუებულს გონების თვალსა.

— არც ისე, როგორც შენა გგონია.—უპასუხა ჭაღარა შერთულმა—ყველა ქმრიანი ქალი მაგ ყალიბისა რომ იყოს, მაშინ ოჯახის ხსენებაც ხომ არ იქნებოდა...

— შენგან არ მიკვირს, ბიძა-ჩემო!—გაიკვირვა პირველმა.—ოჯახი? სად არის მერე ჩვენში ოჯახი? ახლა ოჯახი-კი არა, მხოლოდ ორი უცნაური არსებაა, ხალხის თვალში მითომ ცოლ-ქმრობის კავშირით შეერთებული, მაგრამ ნამდვილად-კი მათ საერთო არა აქვთრა... ერთი რომ ალთას მიიწევს—მეორე ბალთას გარბის... ვინც ერთს მაგალითს დამისახელებს იმისას, რომ ქმრიანი ქალი როდისმე გაჰქცეოდეს ცოლ-ქმრობის გარეშე ცოდვილ სიამოვნებას, ოღონდ-კი ეს სიამოვნება ჭეშმარიტი და მოსახერხებელი ყოფილიყოს, მაშინ მე თვითონ ქედს მოვიხრი ქმრიან ქალების წინაშე და ამიერიდგან ოჯახის კერას მოწიწებით პატივსა ვცემ...

— მაშ კარგი, მე გიამბობთ ერთ იმისთანა შემთხვევას ჩემის ცხოვრებიდგან, რომელმაც აზრი ქალების შესახებ სხვაფრივ შემიცვალა და იმ წამიდგან შენებრი გაბედულება ოჯახის კერისადმი პატივისცემად გარდამექცია—უთხრა ჭაღარა შერთულმა.

— აბა, აბა! გვიამბეთ, გვიამბეთ.—დაიძახეს ყველამ ერთად.

ჭაღარა-შერეულმა დაიწყო.

— ცხრამეტისა შევსრულდი და მეოცეში გადავდექი... ის იყო, გიმნაზია დავამთავრე... „ბლუზა“ „სერთუკზედ“ შევცვალე, გიმნაზიელი—სტუდენტად გარდავიქეცი; და, ხომ იცით, რა საპატიოა ჩვენში „სტუდენტობა“; წინად თუ „ოფიცერსა“ ჰქონდა სახელი გავარდნილი, ახლა სტუდენტია ხელის-ხელ საგოგმანები... სტუდენტობა—დაფნის გვირგვინია ახლანდელ დროში კაცისათვის!..

ამის გამო ცა ქუდათ არ მიმაჩნდა და დედა-მიწა ქალამნად... ცხოვრების ბეწვის ხიდი განვლილი მქონდა... აქამდის „არა-რა“ ახლა სრულ უფლება-მოსილ ადამიანად ვითვლებოდი. უსუსურობის ბურუსი მოვიშორე და თან გავატანე „ბალღობა“... თავში მიბრწყინავდა აზრი „თავისუფლებისა“, გულში—გრძნობა სიყვარულისა, ჯიბეში—„მოწმობა კაცად მოწიფულობისა.“

და, თუ მაინცა და მაინც, ჩემი გონებითი ავლა-დიდება სრულის სავსებით არ შეესაბამებოდა ამ მოწმობას, სამაგიეროდ, ჰასაკოვნება ჩემი სრულიად იყო დამწიფებული.

ვიცოდი, რომ გახელებულ სისხლის ჩქეფას დაოკება უნდა და რომ საამისოდ ბუნებისაგან ქალია მოწოდებული.

პირველად სიყვარულს გუნდრუკი იქ ვუკმიე, სადაც ადამიანს თვისი სხეული გასასყიდად გამოაქვს. თავისს დღეში არ დამავიწყდება ის მწვავე, გამოურკვეველი გრძნობა ადამიანის დამცირებისა, რომელიც ლახვარივით ჩამეჭრა მთელ არსებაში გამოფხიზლების შემდეგ და ერთ-ხნობით შემაძაგა დედა-კაცი,—ეს ჩემი ოცნების მუდმივი თანამგზავრი.

მაგრამ გაიარა ხანმა და მეც... მივეჩვიე... როდი-ღა ვგრძნობდი იმ უცნაურ ტკივილს, რომელმაც პირველში სულის სიღრმემდის შემარყია... აქამდის მორიდებული, მოკრძალებული, ახლა გავთამამდი... ქალს ისე ვუყურებდი, როგორც მარტო მამაკაცის დამატკბობელ საგანს... ასეთი შეხედულება განამტკიცა ჩემში ორმა-სამმა კავშირმა, ეგრედ წოდებულ, დიდის საზოგადოების მანდილოსნებთან.

ხომ იცით ამ ქალების იერიში უწვერ-ულვაშო ჭაბუკთა მიმართ... შორის-შორეულ ნათესავად მიგიღებენ... „შენობით“ დაგიწყებენ ლაპარაკს... თავისს „კუდათ“ გაგიხდიან და ერთ მშვენიერ დღეს, საღამოს თუ ღამეს (ეს სულ ერთია) შენდა უნებურად, მოულოდნელად და ანაზდეულად გულ-მკერდში ჩაგიკვრენ...

რა მიზეზიაო—იკითხავთ—მათი ასეთის დაქვეითებისა? ისინი სიყვარულით მართლულობენ თავსა, მაგრამ არ დაუჯეროთ... ამისთანა შემთხვევებში ერთად-ერთი მიზეზი ქმრის უილაჯობაა ვნებათა-მეტყველების სამთავროში და, სამაგიეროდ, ცოლების მძლეთა-მძლეობა... მეორე მიზეზი—მოდაა, და ქალებს რომ ჰკითხოთ ამ უცნაური მოდის ამბავი,—ასე განგიმარტავენ: „ჩვენი არტისტიული ბუნება ვერ დაკმაყოფილებულა გრძნობის ერთფეროვანებით და ამიტომ ტრფობის სხვა-და-სხვაობის მშვენიერებას დაეძებსო“.

აი, სწორედ ამ გვარის გამარჯვებით გათამამებულს, ასე მეგონა, რომ ყოველი ქალი ჩემთან კავშირის დაჭერას ნეტარებად მიიჩნევდა, რადგანაც ამ კავშირში იგი ჰპოვებდა უმაღლესს სიტკბოებას. ამის გამო ჩემი გაბედულება უმწვერვალესობამდე იყო მიღწეული.

უკანასკნელი ზაფხული უნივერსიტეტში წასვლამდე მოგზაურობაში გავატარე; ბევრი

ხობამ, ყაჩაღად გავარდნას თავი გაანება და, ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებული, მარტო მიწის მონად გახდა. პირადი თავისუფლებით გახარებულს ჩვენს გლეხობას იმედი ჰქონდა, რომ, ადრე თუ მალე, შემდეგ დიდის შრომისა და ჭაპან-წყვეტისა, მიწის მონობასაც თავს დააღწევდა; მაგრამ ჩვენის გლეხობის იმედი გაცრუვდა და, ვაის გაყრილი, ვუის შეეყარა. ვინ არ იცის, რა საშინელს ცეცხლშია ჩავარდნილი ის ნაწილი ჩვენის გლეხობისა, რომელსაც ხიზნებს ეძახიან! რამდენი სისხლი და მელანი დაღვრილა ხიზნების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რამდენჯერ გამოცვლილა იგი კანონი შესახებ ხიზნებისა, მაგრამ არც მათ და არც იმ მემამულეთ, ვის მამულშიაც იგინი შეხიზნული არიან, არავითარი მკვიდრი და საბოლოვო მშვიდობა არ მიეცათ.

მთელის ქვეყნიერების სამოქალაქო კანონი იმაზედ არის დამყარებული, რომ გლეხობამ ხეტიალს თავი დაანებოს და ერთს ალაგას საშვილიშვილოდ მკვიდრად დაბინავდეს, რადგანაც, ცოტად, თუ ბევრად, განვითარებულ ადამიანის უპირატესი ბუნებრივი თვისება ის არის, რომ ძნელად დასტოვებს იმ ალაგს, საცა დაბადებულა, გაზრდილა და უშრომია. წინააღმდეგ ამ ყოვლად ძლიერის სამოქალაქო კანონისა, წინააღმდეგ ყოვლად მოსაწონ ადამიანის თვისებისა, დღეს ჩვენში არსებობს ხიზნობა, რაიცა ჰნიშნავს დროებითი ერთ ალაგას ცხოვრებას, ანუ დროებითს სამშობლოს. განა ამგვარი მოვლენა შესაწყნარებელია? განა დასაჯერებელია, რომ ხიზნებს ოდესმე კეთილი შედეგი მოჰყვეს, როდესაც იგი არ ეთანხმება არც საზოგადო კანონს და არც ადამიანის თვისებას?

როგორც მთავრობის წარმომადგენელნი, ისე მამულის პატრონები, რა-კი გადასახლებაზედ მიდგება საქმე, ისეთს საცოდავს გარემოებაში ჩავარდებიან ხოლმე, რომ ერთიც და მეორეც ცდილობს გადასახლება დროებით მაინც გადასდოს და ამით აიცილოს ხილვა იმ საზარელის სანახავისა, როდესაც ხიზნებს ცემა-ტყეპით სახლიდამ ერეკებიან, და აწიოკებული ცოლ-შვილით თავიანთ უენო საქონელთან ცას შეჰბღავიან.

რამდენი წყევლა, რამდენი ქოლვა გაისმის ამ აოხრებულ და აწიოკებულ ოჯახებში! ნუ-თუ სხვა ჭირი არა კმარა, რომ ეს ხიზნობის ჭირიც ზურგზედ არ წამოგვეკიდნა?

დროა მივეშველოთ ამ ძნელის საქმის კეთილად დაბოლოვებას! დროა ყველამ, ვისაც ხმა და ძალა აქვს, ხელახლათ მიაქციოს მთავრობის ყურადღება ხიზნების სამწუხარო მდგომარეობას და ამით ერთხელ და სამუდამოდ თავიდან ავიცილოთ ის შინაური შფოთი, რომლის საწუხარო შედეგი არავისათვის სასურველი არ უნდა იყოს.

ტფილისი

◆ კავკასიის მთავარ-მმართებელს ტფილისში მოელიან ესენტუკიდგან ამ აგვისტოში.

◆ უცნაური ამბები მოგვდის ამ ბოლოს დროს გურიიდგან. ამ ზაფხულს კვირა არ გადის ისე, რომ ვინმე მემამულე არ გადასწვან, ან არ მოჰკლან. მაგალითად, მაისში თოფი ესროლეს თ-დს ტელემაკ გურიელს, გადასწვეს თ-დი მიხეილ მიხეილის ძე ნაკაშიძე, ივლისში ცეცხლი წაუკიდეს თ-დის ვ. ლ. გურიელის (მთავარ-მართებლის ადიუტანტია) შენობებს სადგ. სუფსაზე, მოჰკლეს თ-დი დათა გურიელი, თოფი ესროლეს და დასჭრეს თ-დი იესიკა მიხეილის ძე ნაკაშიძე და მოჰკლეს, როგორც დღევანდელ ნომერში წაიკითხავს მკითხველი, აზნ. ბარნაბა ქარცივაძე.

ეს ბოროტ-მოქმედებანი არ მიეწერება არც მძარცველობის სურვილს, არც შეურაცხყოფილ კერძო კაცთა თავმოყვარეობისაგან გამოწვეულ შურის-ძიებას, არამედ, როგორც გვესმის, მიზეზი უფრო საგულისხმო მოვლენაა თურმე. ეჭვი არა გვაქვს, რომ სათანადო მთავრობა დროზე მიიღებს შესაფერს ღონისძიებას და მოსპობს ასეთს უწესოებასა.

◆ საეკკლესიო მუზეუმმა შეიძინა ორი ძველი ნივთი. ერთია რიყის ბრტყელ ქვაზე გამოქანდაკებული ბარელიეფი,—სახე მხედრისა ფრთიან შუბით და ბერძნულის წარწერით: Amize Dionisis O. G. Y. X. M. A. H. P. K. G. მეორეა ვერცხლის ფული, რომლის ბერძნული წარწერები საკმაოდ გადალეულა: თითქოს ასრე აწერიაო: „Kiria Elena Evkrator“.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ 23 ივლისს სოფ. შალაურში (შორაპნის მაზრა) მცხოვრებნი ძმანი ბეჟან და კონსტანტინე ზაქარიას ძენი აბდუშელიშვილნი გადაუწვავთ ვიღაც ბოროტ-მოქმედთ. ცეცხლი გასჩენია ჯერ კალოზედ მოტანილ ძნას, იქიდგან საბძელს, სამზარეულოს, თავლას, სასიმინდეებს და თვით სახლსაც, რომელიც დიდის გაჭირებით გადაურჩენიათ გადაწვისაგან.

◆ როგორც შევიტყეთ, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდს ზემო-იმერეთში მოგზაურობის დროს 7—8 ეკკლესია გაუუქმებია დროებით, რადგან ეს ეკკლესიები მეტად უსუფთაოდ ყოფილან შენახული. სხვათა შორის ყურადღება მიუქცევია იაფ-ფასიან ქაღალდზედ დახატულ ხატებისათვის და აუკრძალავს მათი ეკკლესიაში დასვენება. გაუქმებულ ეკკლესიებში ერთი სოფ. გორისის ეკკლესიაცაა.

◆ ჩვენ მოგვივიდა ამბავი, რომ სოფ. სავანის ეკკლესიას 26 ივლისს დიდის თქეშის დროს მეხი დასცემია და დიდად დაუზიანებია.

◆ 2 აგვისტოს დანიშნული კრება იმ კომისიის წევრთა, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს სხვა-და-სხვა საგანი ზედაშის (საეკკლესიო ღვინის) შესახებ, არ შესდგა. ხელმეორე კრება გადაიდო 19 აგვისტოსათვის.

◆ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ყიზლარის ქალაქის თავმა სთხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე, რათა მან ნება დართოს ყიზლიარის მევენახეებს, იყოლიონ თავისი წარმომადგენელი მომავალ მეღვინეთა კრებაზედ პეტერბურგში; 2 აგვისტოს კომისიის წევრთა კრებამ მისწერა ყიზლიარის თავს, რომ კომისიამ საჭიროდ სცნო ყიზლარის მევენახეთა წარმომადგენელის დასწრება და ამიტომ გთხოვთ 19 აგვისტოსათვის დანიშნულ კომისიის წევრთა კრებაზედ წარმოჰგზავნეთ ტფილისში თქვენი წარმომადგენელიო.

◆ გურიიდგან მოგვივიდა სამწუხარო ამბავი, რომ 1 აგვისტოს, დილით ადრე, დ. ხიდისთავში აზ. სიო გიორ. ბერიძის სახლში თოფით მოჰკლეს მასპინძლის სიძე, გურიანთის მცხოვრები აზ. ბარნაბა ქარცივაძე. მკვლელმა თოფით ხელში მთელი ბაზარი გაირბინა და ისე გაიქცა. მოკვლის მიზეზი ჯერ არ იციან და არც მკვლელი შეუპყრიათ.

◆ ინჟინერ-მექანიკოსმა ბ-ნმა ასტაფიევმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, შემოიღეთ ტფილისში მეეტლეთათვის ნიხრ-საზომი, რომელიც აცხადებს, რა ფასი ერგება მეეტლეს აქა თუ იქ წასვლისათვისაო.

◆ მთელს საქართველოს საეგზარხოსოში ამ ჟამად 700-მდე საეკკლესიო-სამრევლო სკოლაა.

◆ ბ-ნი არაყიშვილი, რომელმაც შეაგროვა საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეში ქართული ხმები და საერო სიმღერების მოტივები, ამ ჟამად კავკავშია. არაყიშვილი ცალკე მოხსენებას წაიკითხავს შემოდგომაზედ თავისთა დაკვირვებათა შესახებ საქართველოში მოსკოვის საეტნოგრაფიო საზოგადოების წევრთა კრებაზედ.

◆ მაგისტრი ფარმაციისა ბ-ნი ი. ს. ტყეშელაშვილი 1 აგვისტოს გაემართა მოსკოვიდგან კავკასიის მთა-გრეხილისაკენ იქაურ საყინულეების დასათვალიერებლად.

◆ სეკტემბერში, როცა ბათუმს მივა მიწად-მოქმედების მინისტრი, საბოლოოდ გადასწყდება ის საგანი, თუ როგორ მიახერხდეს ბათუმის ახლო-მახლო სახაზინო სანერგე გაიმართოს ფორთოხლისა და ლიმონის ხეებისა.

◆ ამ ორის წლის წინად ქალაქის გამგეობას დაუდგენია, რომ მე-10 განყოფილებაში ნიკოლოოზის ქუჩაზედ, თავისუფალ ქალაქის ადგილზედ აეშენებინა სასწავლებლებისათვის საკუთარი შენობა; ამ საქნისათვის კიდეც გადუდვიათ ერთს წელიწადს ფული, მაგრამ წელს-კი ხარჯთ აღრიცხვიდამ სულაც გამოურიცხავთ ეს მუხლი. ეხლა გამგეობის წევრი კოკჩაევი სთხოვს გამგეობას, ამ ორის წლის წინანდელი დადგენილება მოიყვანოს აღსრულებაში.

◆ ამ დღეებში ბ-ნ ბლაუს სატეხნიკო კანტორამ მისცა წინადადება ქალაქის გამგეობას, თუ ქალაქის განათების საქმე გარდაწყვეტილი არ აქვს გამგეობას, მე ვიკისრებ ქალაქის განათებას „ლიუქსის“ სისტემის ფანრებითაო. ბ-ნი ბლაუ სხვათა შორის აცნობებს გამგეობას, რომ ამ ფარნებით განათება ქალაქს შედარებით იაფად დაუჯდება და სინათლის ძალაც ელექტრონის ძალას არაფრით არ ჩამოუვარდებაო.

◆ ქალაქის გამგეობის უკანასკნელს კრებაზედ არჩეულ იქმნა სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველად სამსახურიდგან გამოსული პოლკოვნიკი ბარაბაშევი, ხოლო მის თანაშემწედ ორნი იქმნენ არჩეულნი—ერთი სომეხი და ერთი ქართველი.

◆ ქალაქის გამგეობა შეჰკითხვია უსახელო საზოგადოებას ტფილისში, შესაძლებელია რომ საზოგადოებამ გამართოს ელექტრონის სადგური და ქალაქმაც ისარგებლოს ელექტრონის ძალითაო; ამაზედ უსახელო საზოგადოების უფროსმა დირექტორმა გამგეობას შემდეგი პასუხი მისცა. შეიძლება, თუ ქალაქი შემწეობას აღმოუჩენს საზოგადოებას მაგალ. ქალაქის გამგეობამ საზოგადოების კონცესიის ვადას მოუმატეს, შუა ბაზარზედ სახლების ადგილების შეძენაში უშველოს, მოსპოს ქალაქმა უფასო ბილეთები და სხვ. საზოგადოება ყოველთვის მზად არის ყოველ შემთხვევაში ამ საგანზე მოელაპარაკოს ქალაქის გამგეობასაო.

◆ ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ კრებაზედ დაამთავრა განხილვა ხარჯთ-აღრიცხვისა 1903 წლისა; მოსალოდნელი შემოსავალი მომავალ 1903 წლისა თითქმის უდრის 1902 წლისას.

◆ ჩვენ მივიღეთ VII და VIII ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა“ შემდეგის შინაარსით: მეფე და მოხელეები (იგავი) ალ. მირიანაშვილისა, ერთგული სპილო (რუსულიდან), მელიას გამარჯვება (იაპონური არაკი) თორნიკესი, გაზაფხული ლექსი შ. მღვიმელისა, ქიკქიკ (თარგმანი) ბეს. ვაშაძისა, ვეფხვი (ლუნკევიჩისა) კ. ფრონის-პირელისა, მელიას თავ-გადასავალი (გაგრძელება) ალ. ნათაძისა, დღმური, ვოლდემარი 1 მოქმ. (თარგმანი) ან. ოცხელისა, პატარა დედოფალი (გაგრძელება) ს. ციციშვილისა, ფილომელა და პროკნა (ოვიდიუსიდან). ა. ყუმისთაველისა. წითელი კვერი (მარკ-ტვენისა) თარგ. ნინოსი, ანგელოზები— ბახანასი, აღმოსავლეთის დედოფალი ევდუქსია—ან. წ—სა, ანეგდოტები და წვრილმანი.

◆ ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ საზაფხულო „კრუჟოკში“ მაროჟნით რამდენიმე კაცი მოიწამლაო. ამ გარემოებას „კრუჟოკის“ გამგეობამ ყურადღება მიაქცია და „კრუჟოკის“ სამზარეულოში მომზადებული მაროჟნი გაჰგზავნა ქალაქის ლაბორატორიაში გამოსაკვლევად; როგორც ლაბორატორიის გამგეს ბ-ნ ალიბეგოვის გამოკვლევიდანა სჩანს, მაროჟნში ტყვიის ნაწილები რეულა, ალბად იმ ჭურჭლიდან ყოფილა, რაშიაც მაროჟნი მზადდებაო, თუმცა ეს ჭურჭელი სუფთად იყო შენახული. სხვათა შორის, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა და რძის მიმტანმაც დაამტკიცა, ბევრჯერ უნახავთ, რომ რძეში „კრუჟოკის“ მოსამსახურე ბიჭები პურის ლუკმას ასველებდნენ და სჭამდნენ; ბ-ნი ალიბეგოვი სხვათა შორის დასძენს: კარგი იქნება, რომ მაროჟნში ახალის კვერცხის ცილა ახმარონ, რადგანაც ამ ტკბილეულობის მომზადებაში ცილას დიდი მნიშვნელობა აქვსო.

◆ 31 ივლისს დესიმონოვის ქუჩაზედ, გოლიცინის სახლის აივნიდან, შვიდის წლის ყმაწვილი, აგასი საგოიანცი, ამხანაგებთან თამაშობის დროს, გადავარდა მტკვარში და დაიხრჩობოდა, რომ აქვე მყოფს სიმონ ბოროდინს არ ეშველა და სიკვდილს არ გადაერჩინა.

◆ 1-ლ აგვისტოს, საღამოს 7 საათზედ, რაჭის მაზრის მცხოვრები, პილატე ტომარაძე, ტფილისის პოლკის სადგურების პირდაპირ, მტკვარში ბანაობის დროს, დაიხრჩო.

◆ 2 აგვისტოს ობსერვატორიის ჩასახვევში, პავლე ჩეერსკოვის სახლს გაუჩნდა ბანზედ ცეცხლი, რომელიც მდგმურებმა შეამჩნიეს და ჩააქრეს დროზედ; როგორც დათვალიერებამ აღმოაჩინა, მთელ სახურავს და სახლის აივანს შემოხვეული ჰქონია ნავთში დასველებული პატრუქი, ალბად იმ განზრახვით, რომ სახლისთვის ცეცხლი მოეკიდებინათ. სახლი „იაკორის“ საზოგადოებაშია დაზღვეული და დაგირავებულია სათავად-აზნაურო ბანკში; პატრონი ქალაქ გარეთაა გასული.

◆ 2 აგვისტოს ტფილისის მცხოვრებმა გარსო ალმაზოვმა გამოაცხადა მე-7 საბოქაულოს სამართველოში, რომ კახეთის მოედანზედ ახალუხის ჯიბიდგან ამომაცალეს ქისა ოქროს ნივთებით, ღირებული 70 მან., ზოგიერთი ნივთი უკვე იპოვნეს მესაათე არშაკა გრიგორიანცთან, რომელმაც სთქვა, რომ მე სხვისაგან ვიყიდეო; დანარჩენი ნივთები არშაკას მიეყიდნა გრიგოლა მხითაროვისთვის.

◆ 31 ივლისს ტფილისის მცხოვრებმა მარკოზა ტერ-არაქელოვმა გამოუცხადა პოლიციას, რომ 24 ივლისს ჩემმა შვილმა კარაპეტა არაქელოვმა მომპარა, ოქროს სამაჯური, კაცის საათი, ქალის ტანისამოსი, სამი ვერცხლის კოვზი და ხანჯალი, ღირებული სულ 35 მან, კარაპეტა ტერ-არექელოვი შეიპყრეს და გამომძიებელს გადასცეს.

როდის გაიაფდება ქალაქში ხორცი?

ამას წინად გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ ქალაქის გამგეობას უნდა ნიხრის გამოცვლა ხორცსა, პურსა და სხვა სანოვაგეზედ; ეს ამბავი არ ახალია, ძველია. ამ ორის კვირის წინად უკვე იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, რომ აგვისტოში გამგეობას განზრახვა აქვს, შეამციროს ფასი როგორც ხორცზედ, ეგრეთვე სხვა სანოვაგეზედაც; მაგრამ, რა სანუგეშოა ეს ხმა მცხოვრებთათვის! მთელი გაზაფხული და ზაფხული გავიდა, როცა საკლავი საქონლის მორეკაც ადვილი იყო ჩვენს დედა-ქალაქში და მათი გამოკვებაც; არც გზები იყო ზვავებისაგან შეკრული, რითაც ესე თავსა მართლულობენ ხოლმე ჩვენი ყასბები და ჩარჩები. ჩვენ მცხოვრებნი, მაინც გირვანქა უვარგისს ხორცში თორმეტ კაპეიკს ვუთვლიდით. ეხლაც, გამგეობის ამ კეთილ განზრახვის განხორციელებამდე ერთი თვე გასტანს და გამოვა, რომ მთელი ზაფხული, საქონლის იაფობის დროს, ხორცი ძვირობდა; მოვა შემოდგომაც, ჩამოჰყრის თოვლს და დაიძახებენ: გზები შეიკრა საქონლის მორეკა გაძნელდაო და ამ ნაირად მთელის წლის განმავლობაში მცხოვრებთ შემცირებულ ნიხრით ერთს ან ორს თვეს, ბევრი-ბევრი, სამს თუ ოთხს თვეს გასძლებს; რასაკვირველია სულ უარაობას, ამაზედაც მადლობლები ვართ გამგეობისა, მაგრამ ბოლოსკი სანუგეშო ცოტაა მაინც. ეს ჩვენი წინასწარმეტყველობა ზოგს იქნებ კიდეც ნინოობად ეჩვენოს, მაგრამ ვიკითხოთ, ვინ არის თავმდები, რომ ესე არ მოხდება და ყასბები ამ ოინს არ ჩაიდენენ? გვეტყვიან: აი ქალაქის ხორცის დუქნებიო! კარგი და ბატიოსანი; ჯერ ეს ერთი, ქალაქის ხორცის დუქნებმა აქამომდე ცოტა მოგვცეს სანუგეშო რამ; მეყასბეებსაც ვუთვლიდით გირვანქა ხორცში 12 კაპეიკს და აქაც, რომელიც ჩვენდა სანუგეშოდ იყო მოწოდებული; მეორეც ესა, განა წარმოსადგენია, რომ იმ ექვსმა, ან თუნდა, ათმა ქალაქის დუქანმა, დააკმაყოფილოს მცხოვრებთა მოთხოვნილება?! არა, ამ სენს საფუძვლიანი მკურნალობა უნდა იმის მხრივ, ვი-

---

ნათესაობა მყავდა და სოფლად დავდიოდი გამოსათხოვებლად.

სხვათა შორის კახეთში ერთ დეიდაჩემთაგანს ვესტუმრე საწყალი მოხუცებული ცას ეწია ჩემი ნახვით; ისეთი ნადიმი გამიმართა, რომ იქაურებს ახლაც-კი ახსოვთ. ყველა მახლობელ სოფლებიდგან მოიწვია სტუმრები, მაზრის ქალაქიდგან სამხედრო მუსიკაც დაიბარა, დაჰპატიჟა მაზრის უფროსი და სხვა წარჩინებულნი პირნი; დაადგმევინა საცეკვაოდ და ვახშმისათვის ორი ფანჩატური; ერთის სიტყვით ქვეყანა შესძრა.

მე,—ამისთანა დღესასწაულის გმირს,—თავს ძალიან მომქონდა და ქება-დიდებით გაბრუებული ვიყავი.

იქაური ქალები გადავრიე, გავაგიჟე ცეკვითა და მოხდენილის „კავალრობით“; დეიდაჩემი სიხარულის ცრემლსა ჰყლაპავდა და [illegible] და უწყუმ მთელი საზოგადოების თვალწინ გადამეხვეოდა ხოლმე.

გასათხოვარ ქალებს შორის ბევრი იყო ლამაზი, რომელთა ერთ შემოხედვას ღვთის წყალობად მიითვლიდა თვით ნამდვილ სილამაზის ტრფიალიც-კი, მაგრამ იმათ მაგრე რიგად ყურადღებას არ ვაქცევდი. მგელივით იქითკენ მეჭირა თვალი, საიდგანაც გამოდნებოდა რამე. რუსთველებრივი „შორით ბნედა, შორით დაგვა“ არად მიმაჩნდა და მხოლოდ „რეალურ“ ნაყოფის მომცემ სიყვარულს ვეძიებდი.

და თითქოს კიდეც მივაგნე.

სტუმართ შორის ერია ერთი იქაურის მემამულის ცოლი. ეს მემამულე სამხედრო კაცი იყო და სამსახურში წარჩინებული ადგილი ეჭირა. ზამთრობით ტფილისში სცხოვრობდა, ზაფხულობით—თავის მამულში—იმ სოფლად; დეიდაჩემზედ ახლო იყო, ესე, ნახევარ „ვერსტზედ“ იქნებოდა. იმ საღამოს ქმარი არ მოვიდა, რადგანაც ძველი ჭრილობის გამო, ნეკრისის ქარი აშლოდა.

ქალი, როგორც ნაცნობები ამბობდნენ, 35—36 წლისა უნდა ყოფილიყოს, მაგრამ შეხედვით 30 მეტს ვერავინ უძრახავდა. ძალიან მოხდენილი და კეკლუცი რამ იყო; მაღალი, გულ-მკერდ ამობურთული, წელში წვრილი, მეჯეში მოქსხო; სახეზედ ეტყობოდა, რომ ცხოვრებისაგან მოუთენთავი იყო, თუმცა თვალებში ვნების ცეცხლი უბჟუტავდა.

ზაფხული იყო და წინწკლებ-დაყრილი „კისეის“ კაბა ეცვა, გეგონებოდათ, გარს პეპლები შემოჰხვევიანო.

სხვისა რა გითხრათ, და მე-კი მათრობს ხოლმე ლამაზი ქალი, თეთრ „კისეის“ კაბაში გამოწყობილი. ყოველი სახსარი, თითოეული ნაკვთი სხეულისა თვალნათლივაა შენთვის, თითქოს თვალი სჭამდეს, თითქოს გრძნობდე ყოველ ძარღვის ფეთქას, ხორცის კანის ელფერს, სხეულის ვნებით-აღსავსეობას.

და ეს ნაზი, ჰაეროვანი ქსოვილი, როგორღაც სანდომიანად, სიყვარულით შემოეხვევა ხოლმე ქალის ტანს და უჩინარ მესაიდუმლესავით ეუბნება კაცის გახელებულ გრძნობას: „აბა, ამ ადგილს დააცქერდი, რა მშვენივრად არის გამოქნილიო.., არა, აქეთ მოიხედე, როგორა თრთის გულის-თქმისაგან ქალის სხეულიო“ და სხვა.

სწორედ ასევე მომხიბლავი იყო ის ქალი... მეც პირველსავე გაცნობაზედ იერიში მივიტანე... ცეკვაში „დამათ“ ავირჩიე და აღარ ვეხსნებოდი.

ვეუბნებოდი „კომპლიმენტებს“, ვარწმუნებდი, რომ ახალგაზრდობის პირველ საფეხურსაც არ გასცილებიხართ და, რაც ყმაწვილი ქალები არიან, თქვენს ნეკის ფრჩხილადაც არა ღირან-მეთქი.—ხანდახან, ვითომ უცაბედათ, ფეხით, ან ხელით ნაზად შევეხებოდი ხოლმე ქალის სხეულს და მაშინვე, რადა თქმა უნდა, ბოდიშს ვიხდიდი, რომ უზრდელობაში არ ჩამოერთვა.

ის კმაყოფილებით იღიმებოდა და ხუმრობაში ატარებდა ასეთს გაბედულებას.

მე-კი ასე მეგონა და...

ეს ღიმილი უფრო მამხნევებდა... განსაკუთრებით იმედი გამარჯვებისა იმ მითქმა-მოთქმამ გამიცხოველა, რომელიც ამ ქალის შესახებ მსმენოდა.

ამბობდნენ, ომში დაჭრის შემდეგ, მის ქმარს „ოპერაცია“ გაუკეთეს და იმ დღიდგან ჯან-ღონით სავსე მხედარი კაცად აღარ ვარგაო.

ამიტომ ცოლმა იმ გვარ მამაკაცებს მიჰმართა, რომელნიც ქმარივით თავაზიანნი არ არიანო.

ასე იყო თუ ისე, მაინც ჯერ-ჯერობით ჩემი იმედი მხოლოდ იმედადვე მიბჟუტავდა და განხორციელების ნიშანი-კი არსაით სჩანდა.

ვახშმად, ჩემდა სამწუხაროდ, იმ ქალთან როდი მომიხდა ჯდომა; ახირებულმა დეიდაჩემმა გვერდით მომისვა, და ის ქალი-კი—მაზრის უფროსს მიანება.

მეწყინა!.. მაგრამ რას ვიზამდი?—უნდა მომეთმინა მარჯვე შემთხვევამდე.

ამ შემთხვევამაც მალე თავი დაგვიკრა.

როცა ვახშამი გათავდა და, ერთი-ორი პირი ცეკვის შემდეგ, დარბაისელმა საზოგადოებამ დაშლა დაიპირა, იმ ქალმაც სახლში წასვლა მოინდომა.

მომწყდა წელი... მაგრამ ვერ წარმოიდგენთ ჩემს სიხარულს, როცა გამოირკვა, რომ მისი მოსამსახურე „დენშჩიკი“, ქალის თანამხლებელი,—მთვრალია და ვერას გზით გონებაში ვერ ჩაუგდიათ.

რაღას „კავალერი“ ვიქნებოდი, რომ ჩემი თავი მისდა სამსახურად არ გამეწირა... ქალმა იუარა—თქვენ კიდევ დროს გატარებთ, ახალგაზრდებს რათ მოგაშოროთო, მაგრამ მე ჩემი გავიტანე. ახლა დეიდაჩემი შეჯდა უხიაკობის ბედაურზედ! ოჰ, ეს ბებრები! რა ხშირად შეგვიშლიან ხოლმე ხელს! გინდა თუ არა—თან ბიჭი წაიყვანე, მარტო არ გაგიშვებო. დიდ შეურაცხყოფად მივიჩნიე ასეთი სურვილი დეიდაჩემისა—ბალღი ხომ არა ვარ—მეშინოდეს-მეთქი.

ამ რიგად, მე და ის ქალი გზას მარტონი გავუდექით.

მოვშორდით თუ არა დეიდაჩემის ეზოს და ხმაურობას, საშინელმა გრძნობამ შემიპყრო. არსებაში ვნებათა-ნაკადული აბობოქრდა, სურვილები ქარტეხილად „გარდაიქმნა... ფეხით თხემამდე ელექტრონის ძალივით რაღაცამ გაინაპერწყლა... ციებ-ცხელებამ ამიტანა... კბილით კბილს ველარ ვპოულობდი... სხეული მითახთახებდა.

თავში შემჯდარი ღვინო; სიახლოვე იმ ქალისა, რომლის თითოეული ნაკვთი სახისა თუ სხეულისა, საამურად უღიტინებდა ჩემ სურვილებს; ზაფხულის მშვენიერი ღამე და სიყვარულის მესაიდუმლე მთვარე; ყვავილ-ბალახით აბიბინებული მდელო, რომელიც თითქოს გულ-მკერდს გვიშლიდა და გვიწვევდა სამიჯნუროდ; შორის ტყიდგან ლალ-ჟღურ- [illegible] ლობისა,—მათრობდა, თავბრუს მახვევდა და მზად ვიყავი უსაქციელობა ჩამედინა.

ქალი-კი დამშვიდებული მიდიოდა, თითქოს მიხვედრილი არც-კი იყო, რა ხდებოდა მის თანამგზავრის არსებაში.

სვლა არ შემეძლო, ფეხები მიკანკალებდა, ზმორებამ ამიტანა; ქალმა გამასწრო.

— რად ჩამომრჩით?—მკითხა მან, რა ჩემკენ მობრუნდა.

— იმიტომ, რომ დავტკბე მშვენიერების ცქერით—ვუპასუხე აკანკალებულის ხმით.

— ჰოო! მთვარის მშვენიერებით?!—დამეკითხა ქალი, და მერე თითონვე დაუმატა:—მართლაც, რომ გაჩერდებით და თვალს გადაავლებთ ამ მიდამოს, გეგონებათ, მთელი მშვენება ბუნებისა მთვარისაგან არის მოვლენილიო.

— არა, თქვენ ვერ მიმიხვდით, კნეინავ!—ძლივს მოვახერხე თქმა, თითქოს ყოველ სიტყვას საჩაჩავიდგან ვეწეოდი—მთვარე-კი არ არის მშვენებით აღსავსე,—ის არის, ვისაც იგი ეალერსება, ვისაც მთელი გარემოცული ბუნება მოწიწებით სალამს უძღვნის, ვით თავისს მეფას... თქვენა ხართ ეს გრძნეული არსება... ამ ჟამად ყველაფერი თქვენ გიმზერთ და მეც,—მცირე ატომი დიდებულ შემოქმედობისა,—თქვენით ვტკბები, თქვენს ჰვრეტაში ვარ შთანთქმული!—

ენა გამისწორდა, კილოზედ ალტაცება დამეტყო.

— ხა ხა-ხა-ხა!—გადაიხარხარა ქალმა—რა სასაცილო რამა ხართ! დამცინით?!

— ოჰ კნეინავ! დაგცინით-კი არა... ყოველი სიტყვა, ჩემი გულის ყოველი ამოძახილი მხოლოდ მკრთალი ლანდია იმისა, რასაც მე ამ წამს ვგრძნობ!.. თქვენმა [illegible] სი-

ეროვნული

საც სურს ჩვენი ინტერესებიც დაიცვას. რომ ყასაბნი ძველს ოინს იზამენ, ამის თავმდებიკი წარსულ წელთა მაგალითია.

ჩვენებური ამბები

15 კომლს გლეხ-კაცს ადებული ჰქონდათ ქუთაისის მახლობლად, ოდსკურას, იჯარით სახელმწიფო მამულები. შვიდი წელიწადია მას აქეთ, რაც ეს გლეხ-კაცნი დასახლდნენ ამ ადგილებში, შეამუშავეს მამულები, განაკარგეს იჯაურობა, გააშენეს ვენახები, გაიყვანეს გზები და ყოველ მხრივ კეთილად მოაწყვეს. მანამდე ეს მამულები არავითარს სარგებლობას არ აძლევდა ხაზინას. ახლა-კი ხაზინასაც საკმაო შემოსავალი აქვს და გლეხკაცობაც კმაყოფილი იყო თავისის ბედის. მაგრამ ახლა უცებ შემოუტიეს და ეუბნებიან, უნდა აიყაროთ აქედანაო. გლეხები ჯავრით აღარ არიან. თანხმა ვართ, იჯარა მოგვიმატეთ, თუ გინდათ, ოღონდ-კი ამ ადგილებიდგან ნუ გადაგვასახლებთო, მაგრამ მათს თხოვნას ყურადღებას არ აქცევენ და უკვე შემდგარი ოქმი მათის ყრის შესახებ გადაცემული აქვს სასამართლოს აღსასრულებლად.

—

სოხუმი. ივლისის შუა რიცხვებამდე იქამდის გრილი ზაფხული იყო სოხუმში, რომ ზოგიერთებმა კიდევაც განიზრახეს საავარაკოთ გაგზავნილ ოჯახობის უკან გამოწვევა. ეს ორი კვირაა, ისეთი ცხელი დღეები დაიჭირა, რომ ხანდისხან 40% აღემატება ხოლმე სიცხე. ასეთი სიცხე მით უფრო აუტანელია, რომ აქ იშვიათად შეხვდებით სახლების წინ ჩრდილიანს ბაღებს, როგორც მაგ., ქუთაისში. ამისათვის იძულებული ხდება ადამიანი მთელი დღე ოთახში გაატაროს და ელოდოს საღამოს.

საღამოები სწორედ რომ სასიამოვნო და გრილია სოხუმში, რის გამოც ამ დროს სახლებში აღარავის რჩება—ზოგი ბულვარზე გარბის სასეირნოდ ზოგი ნავთ-სადგურზე და ზოგიც კიდევ თავიანთ ეზოებში სხდან და შექცევიან ჩაის და გახშამს. თითქო რაღაც დიდი ცოდვისათვის სასჯელი დაუდვიათ სოხუმელებისათვისო, შეიქნება თუ არა თერთმეტი საათი, დაიწყება ფეხის-ალაგების წმენდა და დია ყუთებით ქუჩა-ქუჩა უსუფთაობის ტარება, რის გამოც იქამდე იწამლება ჰაერი, რომ აუტანელი ხდება არამც თუ გარეთ გახვლა, ფანჯრების გაღებაც-კი, და ამისათვის იძულებული ხდებიან ყველანი ისევ სახლებს მიაშურონ და ჩაიკეტონ ოთახში.

ამ წლის ბოლოს ვადა გაუდის ჩვენს საბჭოსა და გამგეობას და ურიგოთ არ მოიქცეოდნენ, რომ თავიანთ სახსოვრად გერმეტიულად დახურულს ყუთებს შემოიღებდნენ უსუფთაობის საზიდად, თორემ თუ ასე დარჩა, თქვენი მტერი, ჩვენ საქმე გაგვიჭირდეს.

ამ დღეებში ჩვენის ქალაქის ახალს საავადმყოფოში მოათავსეს ანთებით ავადმყოფი, ვიღაც დავითაია. ღამით საწყალს დავითაიას ავარდნია ანთება, მივარდნილა ფანჯარასთან და, რადგან ოთახში ამ დროს მოსამსახურე არ ყოფილა, გადმოვარდნილა მეორე სართულიდან და იქვე განუტევებია სული. საბრალო კაცი, შინ ყოფილიყო ისევ, ვინ იცის კიდევაც განიკურნებოდა და აქ-კი ასე ჩქარა გამოესალმა წუთი-სოფელს.—

ბ-ნ მ. ჯ.—ს საყურადღებოდ: სიტყვა დუტუ იმერეთის ზოგიერთს ხოფლებში ნიშნავს ქორფას, ჯერ ზრდა დაუსრულებელს.

მექი.

—

ფოთი. ქურდობა, თუ ჯიბგირობა ძლიერ გახშირდა ჩვენში. დღე ისე არ გავიდის, რომ საწყალი გლეხი არ გაჰქურდონ. გლეხი თუ რასმეს ჩამოიტანს ბაზარში, ძნელად იქნება, რომ აქაურმა ბადაცებმა ყოველივე არ ამოაცალონ ჯიბე-უბიდგან.

ხუთის დღის წინად გურიიდგან გლეხს ჩამოუტანია გასასყიდად ხილი, გაუყიდნია ათ მანეთად და შინ დაბრუნებულა. სამის ვერსტის მანძილზე ფოთიდგან მას დახვედრია ვიღაც ბოროტმოქმედი, გაუძარცვა და გაქცეულიყო.

მეგრელი ნოქართაველი.

კავკასია

ბაქოში ამ უკანასკნელ ხანს სიცხე 51 გრადუსამდე ადიოდა რეომიურის თერმომეტრით.

—

შუშიდან სწერენ „ტფ. ფურ.“-ლს დეპეშით, რომ დღეს, 2 აგვისტოს რიცხვ-მრავალ ხალხის თანადასწრებით აკურთხეს ქალაქის საავადმყოფო ივანე ისაკის ძის ჯამგაროვის სახელობაზედაო. კურთხევის შემდეგ საერთო სადილი იქმნა გამართული.

—

სომხურ გაზეთების სიტყვით, მალე იქნება დანიშნული არჩევა ახალის კათალიკოსთა სისასი და კილიკიისა.

—

ბაქოელ მდიდრის იოსებ თუმაევის მემკვიდრეთ შეუწირავთ 10,000 მან. სტამბის დასაარსებლად ინდოეთ-სპარსეთის ეპარქიის უფროსის სახლის ეზოში.

რუსეთი

პეტერბურგის გაზეთები იუწყება, ურალის ოლქში, კასპის მხრისაკენ, ყარა-ჩუნგულისა და ყარა-ტიკის სამხრეთით, ნავთიანი ადგილები აღმოჩნდაო.

— ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს, აღარ მოეთხოვოს ახალი პატენტი თამბაქოს მაღაზიების პატრონებს, როცა იგინი ძველი ბინიდგან ახალზედ გადადიან; მხოლოდ ძველი პატენტი აქციზის მოხელეს უნდა წარუდგინოს ხელმოსაწერად.

— ამ ჟამად გზათა სამინისტროში წარდგენილია გამოსარკვევად საკითხი, როგორ მოაწყონ მატარებლები, რომ პეტერბურგს ცოცხალ-ცოცხალი თევზისა და ახალის ხილმწვანილეულობას მიზიდვა გაადვილონ.

უცხოეთი

ინგლისი. როდესაც ბალფური დაინიშნა პრემიერად, მაშინვე გავარდა ხმა, ფინანსთა მინისტრი, ჰიქს ბიჩი სამსახურს თავს დაანებებსო; ეს ხმები გამართლდა, თუმცა ბალფურმა ბევრი სთხოვა, მე პრემიერობა თქვენის, ძველ მინისტრების იმედით ვიკისრე, მხოლოდ თქვენს ცოდნასა და გამოცდილებაზედ ვამყარებდი ჩემს მომავალს გამარჯვებას, და თუ ეხლა ზურგი შემომაქციეთ, მეც უხერხულს მდგომარეობაში ჩამაგდებთ და არც სახელმწიფოს არგებს ესაო. მაგრამ, როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს, ჰიქს ბიჩი მაინც სტოვებს სამინისტროსაო; მის მაგივრად დაინიშნება ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი რიტჩი; გარდა ამისა შინაგან საქმეთა მინისტრად ინიშნება აკერს-დუგლასი, საზოგადო მუშაობათა და შენობათა პირველ კამისარად—ლორდ ვინძორი; საერო განათლების დეპარტამენტის პრეზიდენტად — მარკიზ ლონდონდერრი; ფოსტათა უფროსად—აუსტენ ჩემბერლენი; ირლანდიის საქმეთა მინისტრი უინდჰემი გადაყვანილ იქმნება კაბინეტში; გრაფ დედლი—მეფის მოადგილედ ირლანდიაში; მხოლოდ იგი კაბინეთის წევრად არ იქნება; ლანკასტერის საჰერცოგოს კანცლერად —სერ ვ. ვალროიდი; ხაზინის საპარლამენტო მდივნად—სერ აილანდ გუდი; ხაზინის საფინანსო მდივნად—ხეის ფიშერი; ხაზინის კომისარად—ფორსტერი; ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგად—გრაფ პერსი; შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად—კოკრენი; სამხედრო მინისტრის ამხანაგად—გრაფ გარდვიკი; საერო განათლების დეპარტამენტის საპარლამენტო მდივნად—ვ. ანსონი; ვაჭრობის სამინისტროს საპარლამენტო მდივნად—ბონას ლოუ.

იაპონია. გაზ. „Ost As. Zloyd“-ი იუწყება, რომ ჩინელები ყოველის ღონის ძიებით სცდილობენ არ მიიღონ თავის ჯარში ევროპიელი აფიცრები — ინსტრუქტორები; მათ მაგიერ იწვევენ მხოლოდ იაპონელებს და თანაც ისე ოსტატურად იქცევიან, რომ ევროპიის სახელმწიფოებს ჯერ ერთი უბრალო უკმაყოფილებაც-კი არ განუცხადებიათ ამის გამო.

იუნ-ში-კაის განუზრახავს კიდევ მიიღოს სამსახურში 60 იაპონელი ოფიცერი, მაგრამ, რადგან ჰშიშობს, რომ ევროპიელნი წინააღმდეგნი გამიხდებიანო, იაპონიის მთავრობისთვის უთხოვნია, ამ ოფიცრებს ისეთი ქაღალდი მიეცით, ვითომც იგინი მხოლოდ დროებით მოდიოდნენ ჩინეთშიო.

ავღანისტანი. სტამბოლის კარის გაზეთი „მალიუმატ“-ში დაბეჭდილია წერილი ქაბიბულა-ხანის მიმართ, ადვილად შესაძლოა, რომ ინდოელებთან შეტაკებამ, რომელიც რამდენიმეჯერ მოგიხდათ, ინგლისი გააგულისოს და თქვენს სამფლობელოს შემოესიოსო. უკანასკნელ შეტაკების დროს ავღანისტანის სამხრეთ საზღვარზედ მოკლულ იქმნა 22 ინგლისის ქვეშევრდომი და დაჭრილი—34.

თეატრი და ხელოვნება

11 აგვისტოს ს. კასპში დანიშნულია საქველ-მოქმედო წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ჯავახიშვილისა, ბ-ნნი გუნია, შათირიშვილი, ივანიძე, ყალაბეგიშვილი, ბეგლარიძე და სხვანი.

—

ახალციხე. 28 ივლისს ახალციხის კლუბის დარბაზში წარმოდგენილ იქმნა ქართულ სამკითხველოს სასარგებლოდ ვ. გუნიას კომედია „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე!“ პიესამ კარგად ჩაიარა, რადგანაც მოთამაშენი დიდის გულმოდგინეობით მოეკიდნენ ნაკისრ საქმეს. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის, ბ-ნი საყვარელიძე, რომელმაც საუცხოვოდ შეასრულა ივანე ძამელაშვილის როლი. სხვებიც კარგები იყვნენ. ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ქ-ნი მეფისაშვილი და ქ-ნი ქიქოძე, რომელთაც ითავეს ეს საქმე და, იმედია, რომ ეს ქართული წარმოდგენა უკანასკნელი არ იქნება.

დამსწრე.

ნარევი და ნაკვესი

წინასწარმეტყველი ელია—ხარაზი.

(ხალხური გადმოცემა)

წინასწარმეტყველი ელია ხელობით ხარაზი იყო. ისეთი პატიოსანი ოსტატი და წმინდა კაცი არ შეიძლებოდა. ერთს პატარა დერეფნიან ღარიბულ სახლში ცხოვრობდა. ხალხს ისე იყო მორიდებული, რომ არც ერთს თავის მუშტარს სახეზედ არ შეხედავდა—კაცსაც-კი, თორემ ქალებს ხომ სულ არ უყურებდა. რომ უფრო მორიდებული ყოფილიყო, ასეთი წესი შემოიღო: მუშტარი რომ მოვიდოდა ფეხსაცმელის შესაკვეთად და კარებს დაუკაკუნებდა, ელია შიგნიდანვე ჰკითხავდა, რა გინდაო?—ფეხსაცმელიო, ეტყოდა მუშტარი.—ე-მანდ დერეფანში ნაცარია, შიგ ფეხი ჩაადგი და წადი, ხვალ მოდი, მზად იქმნებაო, უპასუხებდა ოსტატი. მუშტარიც ეგრე მოიქცეოდა და წავიდოდა. მეორე დღეს მოვიდოდა, ფეხსაცმელი მზად იყო, და არც დიდი, არც პატარა არ მოუვიდოდა. გამოეწყობოდნენ ახალს წაღებში და წავიდოდნენ. ხალხსაც უყვარდა პატიოსანი ოსტატი და ღმერთსაც მიჩნეული ჰყვანდა.

მაგრამ წყეულმა (ეშმაკმა) მოინდომა ელიას შეცდენა. იქცა ქალად და მივიდა ელიასთან. დაუკაკუნა კარები.

— რა გინდაო, იკითხა ელიამ შიგნიდან.

— ფეხსაცმელი მინდა შეგიკვეთოო.

— დერეფანში ნაცარზედ დაადგი ფეხი და ხვალ მზად იქმნებაო.

— არა, მინდა რომ შენ თვითონ აიღო ზომა, შინ შემიშვიო.

— მე ეგეთი წესი მაქვს, თუ გინდა ეგრე მოიქეცი, თუ არა და, შენი ნებააო, უთხრა ელიამ და არც შინ შეუშვა.

მაგრამ წყეული არ მოეშვა; რამდენიმე დღე ზედიზედ მიდიოდა და სულ მაგნაირად ეუბნებოდა: ზომა შენ აიღე, შინ შემიშვიო. ელია ჯერკი უარზედ იყო, და ბოლოს და ბოლოს რომ მოაბეზრა თავი, იფიქრა: ეგეც ადამიანია; რას დამაკლებს, შემოუშვებო. შეუშვა შინ, დასვა სკამზედ და ზომის აღებას შეუდგა. ელია ცდილობდა, ხორცის-კი არ დაენახა იმისი... მაგრამ წყეულმა, ელია ჩაჩოქილი რომ იყო, აიწია კაბა და ფეხი მუხლზემოთამდის გამოუჩინა... ისე ეწყინა, ისე ეწყინა ელიას, რომ თვალის დახამხამებაზედვე აიღო ორი სადგისი, გაიყარა თვალებში და ორივე გამოიჩიჩქნა...

თვალებ-გამოთხრილი ელია წავიდა გოლგოთის მთაზედ... ავიდა ზედა და იქიდან დაგორდა. ეგრე რამდენიმე დღე ეწვალა; ავიდოდა გოლგოთაზედ, იქიდან ისევ დაგორდებოდა... ამგვარად იტანჯებოდა საბრალო ოსტატი ცოდვის გამოსასყიდლად. შეგირდი ეხვეწა, შინ წამოდი, თავს ნუ მოიკლავო, მაგრამ ელიამ არ გაუგონა...

ბოლოს ღმერთს მოახსენეს ელიას ამბავი... ღმერთმა მაშინვე გამოგზავნა იმასთან ხუთი ანგელოზი. ანგელოზებმა უთხრეს:

— ელიავ, ღმერთი მოგიწოდს შენი ეგეთი პატიოსანი და წმინდა ცხოვრებისთვის. უნდა ცაში წაგიყვანოთო.

ელიამ უფალს მხურვალე მადლობა შესწირა. შეგირდმა რომ ნახა, იმის ოსტატი მაღლა-მაღლა მიდიოდა, ტირილით დაუძახა.

— ოსტატო, შენ რომ ზეცას მიდიხარ, მე რაღა მეშველებაო?..

მაშინ მოიხსნა წმიდა ელიამ ტყავის წინსაფენი, ჩამოუგდო ელისეს და უთხრა:

— აჰა, აი, ამით იცხოვრე ქვეყანაზედაო. თითონ ზეცას მიიმალა და ქვეყნად დარჩა იმის შეგირდი—ელისე, და ხარაზობით სჭამდა პურს.

—

ჩვენი ხელობა წინასწარმეტყველ ელიადან მოდის და ჩვენი მფარველიც ის არისო, დაასრულა იმ ხარაზმა, რომელმაც ეს გადმოცემა გვიამბო.

დ. ნახ—ლი.

მადლობის გამოცხადება

ბატონო რედაკტორო!

ნება გვიბოძეთ ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ შემდეგ პირებს, რომელთაც ინებეს და შემოსწირეს თავიანთი წვლილი ახალშენ ეკატერინენფელდის ეკლესიის ასაშენებლად: ქ. მერვიდგან ბ-ნს გ. ხუხუნის (ოზურგეთის მცხოვრებია) 10 მან., ქ, ტფილისიდგან ბ-ნს გამაზოვს 15 მან. 55 კ. იქიდგანვე ბ-ნს ფირადოვს 3 მან. შირაქის ნაწილის ბოქაულს ბ-ნს მალინოვსკის 3 მან და 85 კაპ.

თავმჯდომარე კომიტეტისა მღვდ. სტ. ბაიდოშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 აგვისტო

პეტერბურგი. დღეს სერბთა საელჩოს სადგომში გადაიხადეს პარაკლისი სერბიის მეფის დაბადების დღის გამო. პარაკლისს დაესწრნენ სლავიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრნი.

ვერჟბოლოვო. დიდი ჰერცოგი მეკლენბურგ-შვერინისა წაბრძანდა პეტერბურგს.

ვარშავა. ნოვო-ალექსანდროვსკის სამეურნეო ინსტიტუტში ჩაჰყარეს საძირკველი 150 სტუდენტის მოსათავსებელ სახლისა.

ხარკოვი. მოვიდა საპოლიციო დეპარტამენტის დირექტორი ლოპუხინი. გუბერნატორს მოსდის მრავალი მოსალოცი დეპეშა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. არაჩვეულებრივმა საგუბერნიო საერობო კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს 300,000 მან. სესხის ასაღებად, რომელიც უნდა მოჰხმარდეს სოფ. ლიახოვის სულით-ავადმყოფთა ახალშენის გაფართოვებას.—ცეცხლმა ქალაქის ახლო გაანადგურა 60,000 ფუთი გუდრონი; დაიწვა საქონლის სხვა საწყობებიცა და რამდენიმე სახლი. ზარალი 100,000 მან. საქონელი დაუზღვეველი იყო.

ლამაზემ ნახვის უმალ ცეცხლი მომიკიდა... დღეს პირველად განვიცადე, რა არის ძლევამოსილება ქალის ცხოველ მყოფლობისა!.. ცხოვრებაში გამოუცდელი ვარ, მაგრამ ალღო მეუბნება, რომ ერთი თქვენი ხელის შეხება, ერთი თქვენი ამბორი—ცას გამიხსნის, სასუფეველს დამანახვებს!.. ნუ დაიშურებთ ამ უკვდავებას ჩემთვის! თვით ეს, ღვთაებრივის სიტურფიდ ალსავსე, ღამე, ეს საიდუმლოებით მოსილი არე-მარე, აკვანია სიყვარულისა!... იგი გვიწვევს თავისს სარეცელზედ და ჩვენც ნუ დავუხშობთ გზას საკუთარ გულის-თქმასა, მივცეთ თავი სიყვარულს და გუნდრუკი ვუკმიოთ მას!..

ამასთანავე მივუახლოვდი ქალს და მკლავში ხელი ჩავკიდე, მაგრამ იგი ხელიდგან გამისხლტა და სიცილით მითხრა.

— როდი გეტყობათ, რომ გამოუცდელი ხართ... მაგისთანა სიტყვებს თვით გამოცდილზედ გამოცდილიც-კი ვერ მოახერხებდა და გაბედულებაში ხომ, რაღა თქმა უნდა, არაერთხელ წაიბორძიკებდა... მაგრამ, აი, რაშია საქმე... მე თქვენ მომწონხართ...

— ოჰ, მშვენიერო, ციურო ანგელოზო!—გავშალე მკლავები მოსახვევნად, რავი ეს სიტყვა მომესმა, მაგრამ ამ ციურმა ანგელოზმა მიწიერ ადამიანივით უკან დაიხია.

— ჯერ-ჯერობით სარქველს ნუ აჰხდით თქვენი გრძნობის ქურქელს, თორემ ერთბაშად დაიცლებით და შემდეგისათვის აღარა დაგრჩებათ-რა—მითხრა დამცინავის ღიმილით ქალმა.—ჰო, იმას ვამბობდი... მე თქვენ მომწონხართ...ახალგაზდა ხართ... ლამაზი... ჯანღონით სავსე... ერთის სიტყვით, თქვენში მოიპოვება ყოველივე ის, რის გამო ზოგიერთ ქალებს ფეთება მოსდით ხოლმე... მაგრამ მე ქმარი მყავს... ჩემი სიყვარულიც და ჩემი სხეულიც იმას ეკუთვნის მთვარიან ღამეშიაც და უმთვაროშიც... შინაც და გარედაც... მაშასადამე, თქვენთან რომ სიყვარულს გუნდრუკი ვუკმიო, მაშინ იგი ქმარს უნდა მოვპარო... და, იქნება, თუ არა ამაზედ თანახმა ჩემი ქმარი—მე ჯერჯერობით არ ვიცი... აი, რას გეტყვით. წავიდეთ ჩვენსა... ჩემი ქმარო შინ იქნება.. ვკითხოთ.. თუ წინააღმდეგი არ არის და, რაც იმას ქმრის უფლებით ეკუთვნის, თქვენ დაგითმობთ, მაშინ თანახმა ვარ—ვუკმიოთ სიყვარულს გუნდრუკი აქ, ბუნების სარეცელზედ... მანამდე-კი თქვენი ღალადისი ამაოა!

ვერ წარმოიდგენთ, რამდენი დაცინვა, რამდენი გესლი გამოითქმოდა ამ ქალის სიტყვებში და რა მიწასთან გამასწორებელი იყო მისი თვალების გაყინული ელვარება.

მაინც არად მივიჩნიე ასეთი უარი, თუმცაკი, უნდა გამოვტყდე, ცივი-წყალივით გადამესხა ქალის სიტყვა-პასუხი.

კვლავ განვიმეორე ცეცხლის მფრქვეველი სიტყვები... ცა და ვარსკვლავები მოვიწოდე იმის მოწმად, რომ თვით ღმერთიც-კი ლმობიერად შეჰხედავდა ჩვენს სიყვარულს, მაგრამ აბაა! თქვენ არ მომიკვდეთ, ჩემმა სიტყვებმა არ გასჭრა. ქალი თავისას გაიძახოდა—ქმარს დავეკითხოთ და ისე მოვიქცეთ, როგორც ის გადასწყვეტსო.

სამაგიეროდ, ახლა სირცხვილმა ამიტანა... ეს რა უსაქციელობა და უსინიდისობა ჩავიდინე-მეთქი. დეიდაჩემის სტუმარ-ქალს, ოჯახის დედას, გავჰყევი გასაცილებლად, პატივსაცემლად და ასე-კი შეურაცხვყავ... ხომ საქვეყნოდ თავი მომეჭრა-მეთქი.

ამასობაში გულის ვნებანი კიდეც დამისხრა, ისე მიუკარებელი აღმოჩნდა ამ ქალის ზნეობრივი ციხე-სიმაგრე.

მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ქალი არ გამცემს და ეს უსიამოვნო ამბავი ჩვენ შორის საიდუმლოდ დარჩება-მეთქი.

ამასობაში ქალის სახლსაც მივუახლოვდით. ალაყაფის კარის რახუნზედ ორი-სამი ბიჭი გამოვარდა. მე გამომშვიდობება დავაპირე, მაგრამ ქალმა არ გამიშვა.

— მობრძანდით, ჩემს ქმარს არ ეძინება—გაგაცნობთ... მითხრა მან.

— არა, მადლობას მოგახსენებთ... უკვე დაგვიანებული გახლავთ—ვუპასუხე მე არევით.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებს გაგაყოლებთ—სთქვა ქალმა, თანაც ხელი ჩამკიდა და უშველებელ ეზოში შემიყვანა.

ჩემს უკან კარი დაიკეტა.

— ერიჰაა!—ვიფიქრე ჩემთვის—აქ რაღაც ამბავია... უეჭველად განსაცდელი მომელის... ქალი შეურაცხყოფილია და, ალბად, ქმართან დამაბეზღებს-მეთქი.

თქვენი მტერი იყოს, რომ მე დავთრები ამერია...

— უთუოდ „გამრიზგავენ“!—ეჰ, რაც იქნება-იქნება... გაქცევა შეუძლებელია, კარი დაჰკეტეს... ეზოს გალავანი არტყია და, ესეც რომ არ იყოს, ძაღლები დამისევენ... ისეც ბიჭები ძლივს იმაგრებენ-მეთქი.

ამ ფიქრებით მთლად აფორიაქებული გავყევი ქალს, რომელმაც ყოჟმანობა შემატყო და ეშმაკურად გაიღიმა.

ქმარი ზეზე იყო, აივანზედ ბოლთასა სცემდა, ყავას შეექცეოდა.

იმის დანახვაზედ მუხლები მომეკვეთა, პირში ნერწყვი გამიშრა. ერთი უშველებელი ვაჟკაცი იყო და ისეთი ულვაშები ჰქონდა, რომ თამამად შეეძლო გამოეპარყუჟებინა და თავისს ტანზედვე ჩამოვეღრჩე... მე თქვენ მოგახსენოთ, სიმაღლე არ ეყოფოდა თუ... მთელი შუბლი წარბამდე ჰრილობისაგან დაღარული ჰქონდა. ეს ჰრილობა მკაცრის იერით ჰმოსავდა ამ კაცის ლამაზ სახეს... არ იყო მოხუცი, იქნებოდა 50 წლისა.

ცოლმა ქმარი გამაცნო; თანაც აუხსნა, რომ „დენშჩიკი“ მთვრალი გდია და ამ ყმაწვილმა გამომაცილაო.

ქმარმა დიდი მადლი გადამიხადა პატივისცემისათვის და ბიჭს უბრძანა—ჩემთვის ყავა მოერთმია.

ცოლი ოთახში შევიდა; მე ყავა მომართვეს. ქმარმა მთხოვა მის მაგიერ ბოდიში მომეხადა დეიდასთან, რომ ავადმყოფობის გამო ნადიმს ვერ დაესწრო. მერე საუბარი უნივერსიტეტისა და რუსეთის შესახებ დავიწყეთ.

დავმშვიდდი; საქმე რიგზედ მიდიოდა; ყავა-ღა მქონდა დასალევი, თორემ აქამდე კიდეც გამოვეთხოვებოდი.

ამ დროს გამოვიდა ცოლი, მივიდა ქმართან, გაუყარა მკლავში მკლავი და მომიახლოვდა მე. ქალს სახეზედ დამცინავი ღიმილი უკრთოდა და თვალები რაღაც საიდუმლოებით უციმციმებდა,

— იცი, ალექსანდრე? რა გითხრა...—მიჰმართა ცოლმა ქმარს.—გზაში ამ ყმაწვილმა მთხოვა სიყვარული გამიზიარეო—ბუნების სარეცელი სამიჯნუროდ გვიწვევს და სიყვარულს გუნდრუკი ვუკმიოთო. შენ რას იტყვი ამაზედ? თანახმა ხარ?

ამ სიტყვებმა თავზარი დამცა, მთლად დავიბენი, თვალებ წინ სივრცე ამითამაშდა, ფეხქვეშ ნიადაგი შემიტორტმანდა... ასე მეგონა, დედა-მიწამ იგრიალა და ქვესკნელს ჩამიტანამეთქი. ხელიდგან გავარდნილმა ფინჯანმა იატაკზედ ჰახანი მოიღო და ნამცეცებად იქცა. შიშ-მორეული თვალები ქმრის სახეზედ შემრჩა და ველარ მომეშორებინა.

იყო წამი, როდესაც ამ ვეშაპ-კაცის სახეზედ მრისხანების ღრუბელმა გადაირბინა... ლოყებზედ ალმური მოეკიდა... შუბლზედ ჰრილობა ისე ჩაუღრმავდა, რომ შიგ თითი ჩაჯდებოდა; თვალებიდგან ცეცხლის მფრქვევი ისრები გადმოწვნენ. ასე მეგონა, ეს არის, იქუხებს ეს მთა-ადამიანი, იჰექებს შეურაცხყოფილი თავ-მოყვარეობა და ქარს გამატანს-მეთქი.

მაგრამ უცბად ღრუბელმა გადაიარა, სახელმობიერების გამომეტყველმა ღიმილმა დაუმშვიდა, თვალებში შებრალების შუქი ჩაესახა და ამ უცნაურმა არსებამ, ულვაშებზედ ხელ-გადასმით, დარბაისლურად ჩაიცინა: ხა, ხა, ხა, ხა!.. რა არ შეუძლიან გულუბრყვილო სიჭაბუკეს, როცა სისხლი მღელვარებს... დიაღ, ბევრი რამ შეუძლიან... ხე, ხე, ხე!..—კვლავ ჩაიცინა, მერე მომიახლოვდა, თავზედ ხელი გადამისვა.

— ნუ მღელვარებთ... არაფერია—მითხრა მან და ბიჭს გასძახა:—„ალმასხან, ყავა“!

ცოლი-კი, სახეზედ ღიმილ-გაბადრული, ქმარს შესცქეროდა; მის თვალების მეტყველებაში მე ამოვიკითხე უზომო სიყვარული.

შემრცხვა, საშინლად შემრცხვა... რისხვა მერჩივნა ამ ადამიანობით ალსავსე დაყვავებას, ამასთანავე ჩემი კაცად-კაცობის მიწასთან გასწორებას...

კრინტი ველარ დავსძარ... ან რა მქონდა სათქმელი?! არც ცოლ-ქმარს ამოუღია ხმა; ალბად იმიტომ, რომ მეტად საცოდავი სანა-

ლენევანი. გლეხებს ისევ უჭერიათ სკოლებში მისასვლელი გზები. მოაწყეს დიდის ხალხის წასვლა სალოცავად ფოლგოეტს, საცა ახლო სამრევლოებიდგან მოაწყდა 15,000 კაცამდე სამღვდელოებით, ჯვრებით და დროშებით. ხალხი სასულიერო საგალობლებს ჰგალობს.

ლონდონი. საახალშენო კონფერენციაზედ შეთახმდნენ ახალშენებს ყოველ-წლივ გადაახდევინონ ამ ზომის დახმარება: ავსტრალიას—200,000 გირვანქა, კაპის ახალშენს—50,000, ახალ-ზელანდიას—40,000 და ნატალს—35,000. კანადის ახალშენთან ცალკე შეთანხმება მოჰხდება.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება, რომ 1905 წ. 1 იანვრამდე კვლავ დროებით არ იქმნას შესრულებული კანონი რუსულად მიწერ-მოწერის შესახებ პოლონეთის სამეფოს საერობო საკრედიტო საზოგადოებაში, იმ პირობით-კი, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ აღარ გადაიდოს ამ კანონის შესრულება.

გუშინ დაბრუნდა პეტერბურგს დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე.

დღეს ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის დასწრებით სადგურს დუდერგოფს მოხდა კურთხევა კუს-ავადმყოფობით დასნეულებულთა თავშესაფარ სახლისა.

3 აგვისტო.

ხარკოვი. პოლიცმეისტერ ბეზსონოვს მეორედ შეუხვიეს ფეხი; ტყვიას ძვლის მახლობლად გაუვლია, მაგრამ თვით ძვალს არ შეჰხებია; იარის გასამთელებლად ერთი თვე იქმნება საჭირო; საზოგადოება წოდების განურჩევლად თანაგრძნობით ეკიდება დაჭრილს.

გურზუფი. 17 აგვისტოს მიტროპოლიტი ანტონი გურზუფს მივა საბანაოდ. სეზონი გაჩაღებულია.

ბელგრადი. 16 აგვისტოს აქ მოვა ბულგარიის საბჭოს პრეზიდენტი.

დიუსელდორფი. აქ მობრძანებულმა იმპერატორმა ბურგომისტრის სიტყვის პასუხად სთქვა, დაუძლეველ მხნეობის წყალობაა, რომ ქალაქი ეკონომიურად დიდს წარმატებაშიაო; ვუსურვა ქალაქს კურთხევა ღვთისა უმეტესის წარმატებისათვის იმ მშვიდობიან ვითარებაში, რომელიც დამყარდა ევროპასა და რომელიც, იმედი მაქვს, დიდს ხანს გასტანსო.

ვილლეფრანში. 1870 წლის მხედართათვის აგებულ ძეგლის კურთხევაზედ ანდრემ წარმოსთქვა სიტყვა: „ჩვენ აზრად არა გვაქვს შევაქოთ ომი, რომელიც ჩვენთვის დამარცხება იყო. ვიცით, რა შედეგიც მოჰყვა იმ ომს; დღესაც ტვირთვად გვაწევს იგი. გარნა ჩვენ პატივსა ვსცემთ სამშობლოსათვის თავდადებულთ; ის მხედარნი, რომელთათვისაც აღიმართა ეს ძეგლი, სახეა ჩვენის მომავლის მეომარისა; იგი მეომარი დაუბრუნებს საფრანგეთს ქონებრივს დიდებას; ეგივე მეომარი აღფრთოვანებული იქნება თვისის მოვალეობის განუსაზღვრელის გრძნობით წინაშე მამულისა, რომლის დაცვისათვის ფიცი მიაღო და რომლისათვისაც მოვალეა გასწიროს კიდეც ზოგიერთი თვისი პირადი რწმენა. მომავალი მეომარი სამაგიეროს გადაუხდის საფრანგეთის მტერს და, აი, ამ სამაგიეროს გარდამხდელთ ვუძღვნით ამ დღესასწაულს.“ ამ სიტყვამ გამოიწვია დიდი, ხმა-მაღლად გამოთქმული, თანაგრძნობა. ბანკეტზედ ბელფორის ქალაქის დელეგატმა სადღეგრძელო წარმოსთქვა და ანდრემ პასუხად სთქვა: „გირჩევთ არ დასძრათ ბელფორიდგან მისი დიდებით მოსილი დროშა 1870 წლისა იმ დღემდე, ვიდრე საფრანგეთი კვლავ არ მოუწოდებს ყველა თავის შვილს მახვილით ხელში.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებისამებრ კეთილ ინება და ნება მისცა ფინანსთა მინისტრს აღკრძალოს ხოლმე შემოტანა იმ საზღვარ-გარედ გამოცემულ ფასიან ქაღალდებისა კერძო საზოგადოებათა დაწესებულებათა მიერ, რომელთა დამკვიდრება რუსეთში მიჩნეულ იქმნება სახელმწიფო ინტერესების მავნებლად.

უმაღლესად დამტკიცდა გარდაწყვეტილება სამხედრო საბჭოსი, რომ იგივე წესი იქმნას შემოღებული ღონის-ძიებათა მიღებისა, რათა არ შემოვიდეს და არ გავრცელდეს ჯარში ჭირი, რომელიც იყო შემოღებული 1893 წელს ხოლერის შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,, ...	—
პარიჟში ,, ...	37,65
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^7/_8$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა . . .	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$465^1/_2$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	$289^1/_4$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9625 წვ. გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. .	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

...ობა მქონდა... დავლიე რის ვაი-ვაგლახით ცხელ-ცხელი ყავა, დავითუთქე საშინლად პირი... ახლაც-კი ვგრძნობ მაშინდელს სიმწვარეს... და გამოვემშვიდობე... მაგრამ, როგორ გამოვემშვიდობე? შორიდგან უხერხულად დავუკარ თავი, „მშვიდობით“-მეთქი, წავიდუდუნე და კიბისაკენ გადავდგი ბიჯი. სად იყო ჩემი დარდიმანდული ქუსლების ტკაცა-ტკუნი და ფეხის ფრჩხილებზედ ტრიალი... ლივს ვიზლაზნებოდი ძველებურ ბურსაკივით...

ცოლ-ქმარი მომიახლოვდა; ორივემ ხელი გამომართვეს, და ქმარმა მითხრა: „ამ წამიდგან ჩემი სახლისთვის მუდამ ძვირფასი სტუმარი იქნებით. ელენე—მიუბრუნდა იგი ცოლს—უბძანე ივანესა და სამადას—ეს ბატონი სახლამდის მიაცილონ“. მე უარი განვაცხადე, საჭირო არ არის მეთქი, მაგრამ ქმარი არ დამეთანხმა.

აივნიდგან რომ ჩამოველ, ეზოში ორი მოსამსახურე დამიხვდა.

იმათმა დანახვამ კვლავ ეჭვი ამიშალა, ისეთი საშინელი იერისა იყვნენ.

ივანე ერთი ზალაყინა რამ იყო. ამ უშველებელ ტანზედ პაწაწკინტელა თავი ება, თავი ონავარის ნადირისა. სამადა-კი ბაჯაჯღანა ტანისა იყო, მაგრამ გულმკერდიანი, მხარბეჭგაშლილი და დიდ-თავა.

ორივეს უშველებელი კეტები ეჭირათ.

— ერიჰაა!—გავივლე ფიქრად თავში—ალბად თითონ თავიდგან აიცილა სკანდალი და ამ კაცი-მჭამლების ხელში ჩამაგდო. რა სიკეთეს უნდა მოველოდე ამათგან? შენი მტერი! რა დღეს დამაყრიან!..

ამ ფიქრების გამო მწუხარება აღძრულმა გადავწყვიტე—ტკბილის სიტყვით ცოტათი მაინც მომელბო ეს ჩემი ჯალათნი.

ივანეს „დაურუსულე“, სამადას „დაუთათრულე“ (ორიოდე სიტყვა ვიცოდი) და ისეთი ტკბილი ჰანგი ავადევნე ამ სიტყვებს, თითქოს ვუგალობდი: თქვენი ჭირიმე! ხომ ვიცი, ეგ კეტები არ ამცდება და თუ შეიძლება, გამეტებით ნუ მომიქნევთ-მეთქი.

გავცდით კარ-მიდამოს და ველად გავედით. მე წინ მივდიოდი, ისინი ორ-სამ ნაბიჯზედ მომდევდნენ. სულ უკან-უკან ვიხედებოდი—არა ახლა გაიშხუილებს ჰაერში კეტი, არა ახლა-მეთქი და გადახტომას ვაპირებდი.

მაგრამ ჩემი გუშაგნი დამშვიდებულნი მოდიოდნენ. მივუბრუნდი და ვუთხარ, შინ წადით, საჭირონი არა ხართ-მეთქი. მაგრამ არა ქნეს,—ბატონმა გვიბძანა სახლამდის მიაცილეთო.

— ააა! ახლა-კი მივხვდი!—გავიფიქრე ჩემთვის მწარედ. ამათ უნდათ პატარა მომაშორონ ბატონის სახლს და მერე ამათამაშებენ-მეთქი.

გაქცევა დავაპირე, მაგრამ ასეთი განზრახვა სულელობა იყო. სამადა ნაგეშ ძაღლივით მარდი უნდა ყოფილიყო, სად წაუვიდოდი?!

მივდიოდი და თან გაკვირვებას ვძლეოდი. რა ვქნა? რად იგვიანებენ!.. სადაა დეიდაჩემის სახლიც გამოჩნდება. ან იქნება, ჩემი შიში უსაფუძვლოა? და ეს მხლებელნი მხოლოდ გესლით სავსე დაცინებაა შეურაცხყოფილის ცოლქმარისა?! და კვლავ საშინელმა სირცხვილმა გადამწვა სახე... ჩემს თვალში ისე დავპატარავდი ზნეობრივად, რომ კაკლის ნაჭუჭში მოვთავსდებოდი და მზად ვიყავი შემეძახნა ივანესა და სამადასათვის.

— დამკარით! რაღას უცდით? არ მინდა მაგისთანა გამათახსირებელი განტევება!

მაგრამ ამასობაში დეიდაჩემის სახლს მივუახლოვდით, სამადამ და ივანემ ზრდილობიანად თავი დამიკრეს და გამშორდნენ.

დავრჩი სახტად, პირში ჩალა გამოვლებული და წელ-მოწყვეტილი შეველ დეიდაჩემისას.

გარიჟრაჟი მოტანებული იყო, დილის ცისკარი ნაზად კრთოდა. სტუმრები დაშლილიყვნენ.

დეიდაჩემმა სახეზედ არეულობა შემატყო; ეგონა ავად ვიყავი, ჰაერზედ გაცივდებოდიო და მაშინათვე ლოგინში ამომაყოფინა თავი.

მთელი მეორე დღე ლოგინად გავატარე... მართლა და ავად ვიყავი. დამტანჯა უზომო სირცხვილმა და იმ წამიდგან სხვა გვარად დავუწყე ცხოვრებას ყურება.

— მერე? არსად შეგხვედრია ის ცოლქმარი? ჰკითხა ჭაღარა შერთულს ერთმა მოქეიფეთაგანმა.

— ქმარმა მეორე დღესვე მინახულა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ მივიღე. დეიდაჩემის პირით მოკითხვა შემომითვალა თავისა და ცოლის მხრით. შემდეგში ტფილისშიაც შემხვდნენ, მაგრამ ვაი იმ შეხვედრას!..

ილია ელეფთერიძე.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—1)

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о
„Порфюмерія Рояль—Ралле“.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ. კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова . . .	„ 30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра . . .	3 „
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„ 20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„ 10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„ 60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III	3 „
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова . . .	„ 60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина .	1 „
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ხიკატიძისა .	1 „
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა . . .	„ 30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„ 50
ბრძნული სიტყვები . .	„ 10
წმიდა აბო ტფილელი . :	„ 30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ბ. უმიკაშვილისა	„ 10

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღალტერიასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (**კორესპონდენცია**) 4) **სავექსილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველ-დღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—12)

სოლოლაკში, სერგიევის ქუჩაზე, მირზოევის სახლებში № 1, გაიხსნა

ახალი სტამბა

ძმათა თავართქილაძეებისა,

რომელიც დაიწყებს მოქმედებას აგვისტოს პირველიდგან.

მიიღება საბეჭდავი საქმეები ყველა ენებზედ. სტამბა შემოკვეთილ საქმეებს ასრულებს

სწრაფად და თავის დროზედ.

ამ სტამბასთან იქმნება უმთავრესი საწყობი საკუთარ გამოცემათა.

ვისაც ჩვენ ფირმასთან საქმე აქვს, ან ექმნება, ვთხოვთ დღეიდგან მოგვმართონ ტფილისს ამ ადრესით: Тифлисъ, бр. Таварткиладзе.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით.** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და დერმიონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს. (24—361—14)

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოებისა

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიული მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე სურათებიანი გამოცემა, ფასი შვიდი კაპეიკი. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 6 კაპეიკად, ვინც ოცობით—შაურად.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, მესამე სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 4 კაპ. (6—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.